

ჩემპიონატი მათემატიკაში

ნახევარფინალი

4 კლასი

სახელი, გვარი _____ სკოლა _____

ამოცანები რომლებიც 3 ქულით ფასდება


1) გვიმ რვეულის ფურცლები დანომრა 1-დან 51-ის ჩათვლით. რამდენჯერ დაწერდა იგი ციფრ 5-ს?

- 1) ხუთჯერ 2) ექვსჯერ **3) შვიდჯერ** 4) რვაჯერ

2) რა უმცირესი სამნიშნა კენტი რიცხვის შედგენაა შესაძლებელი ციფრებით: 3; 4 და 6, თუ რიცხვის შედგენისას გამოვიყენებთ სამივე ციფრს?

- 1) 463** 2) 436 3) 346 4) 364

3) მოცემული სურათებიდან რომელი შეესაბამება 2641-ს?



4) ქვემოთ მოცემული გამოსახულების მნიშვნელობა ლუწია, თუ კენტი?

$$71 + 31 + 51 + 91 =$$

- 1) კენტი **2) ლუწია**

5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული გამოსახულების ყველაზე მცირე მნიშვნელობა? (გაითვალისწინეთ, რომ კითხვის ნიშნის მაგივრად უნდა ჩაიწეროს ნატურალური რიცხვი.)

$$51 - ? \times 7 =$$

- 1) 1 **2) 2** 3) 3 4) 4

6) რას უდრის 165-ის 9-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი?

1) ცხრას

2) ექვსს

3) სამს

7) ნიკას აქვს 12 სათლელი, 17 კალამი და 10-ით მეტი საშლელი, ვიდრე სათლელი. სულ რამდენი ნივთი აქვს ნიკას?

1) ამოცანის ამოსახსნელად პირობაში არ არის მოცემული საკმარისი მონაცემი

2) 39

3) 51

4) 56

8) რომელია ნაკლები, 5034 სანტიმეტრი თუ 560 დეციმეტრი?

1) 5034 სანტიმეტრი

2) 560 დეციმეტრი

9) მარიამი ყოველ 4 წამში 1 მოქმედებას ასრულებს. რამდენ მოქმედებას შეასრულებს მარიამი 12 წუთში?

1) 3 მოქმედებას

2) 180 მოქმედებას

3) 720 მოქმედებას

10) ნამცხვარი ღირს 6 ლარი და 49 თეთრი. ანას აქვს 3 ორლარიანი, 2 ოცთეთრიანი, 1 ხუთთეთრიანი და 3 ორთეთრიანი. რამდენი თეთრი დარჩება ანას, თუ იგი ერთ ნამცხვარს იყიდის?

1) 1 თეთრი

2) 2 თეთრი

2) 3 თეთრი

11) ეკა უფროსია ლუკაზე. ვანო უმცროსია ლუკაზე. პაატა უმცროსია ლუკაზე. ვინაა ყველაზე უფროსი?

1) ეკა

2) პაატა

3) ლუკა

4) ვანო

12) რამდენი ერთეულია 5 ათეული?

1) 50 ერთეული

2) 500 ერთეული

3) 5000 ერთეული

13) რომელია ის ორი რიცხვი, რომელთა ნამრავლი არის 25, განაყოფი კი – 1?

1) 1 და 25

2) 10 და 15

3) 5 და 5

14) ჩამოთვლილთაგან, რომელი განსხვავდება დანარჩენებისგან?

1) 45000 ათეული

2) 450 ათეული

3) 450 ათასეული

4) 4500 ასეული

15) 452-ში რომელ ორ ციფრს უნდა შევუცვალოთ ადგილები, რომ მიღებული სამნიშნა რიცხვი თავდაპირველზე 198-ით ნაკლები აღმოჩნდეს?

1) ოთხიანს და ხუთიანს

2) ოთხიანს და ორიანს

3) ხუთიანს და ორიანს

ამოცანები რომლებიც 4 ქულით ფასდება

16) ყუთში დევს 8 ყვითელი და 6 მწვანე ბურთულა. სულ მცირე რამდენი ბურთულა უნდა ამოიღო ყუთიდან, რომ აუცილებლად გქონდეს ერთი ფერის 5 ბურთულა?

- 1) 5 2) 9 3) 10 4) 7


17) საკონტროლო წერაზე მოსწავლეებს უნდა ამოეხსნათ ოთხ-ოთხი ორქულიანი, სამქულიანი, ოთხქულიანი და ხუთქულიანი ამოცანები. რამდენი ქულა დააგროვა ლელამ, თუ მან ორქულიანი ამოცანებიდან ვერ ამოხსნა 1 ამოცანა, სამქულიანი ამოცანებიდან ამოხსნა 2 ამოცანა, ოთხქულიანი ამოცანებიდან ვერ ამოხსნა 1 ამოცანა, ხუთქულიანი ამოცანებიდან კი ვერ ამოხსნა 2 ამოცანა?

- 1) 42 ქულა 2) 34 ქულა 3) 30 ქულა 4) 22 ქულა

18) ეკამ მაკას მისცა რვა კანფეტი. ამის შემდეგ მაკას გაუხდა ორჯერ მეტი კანფეტი, ვიდრე ჰქონდა. რამდენი კანფეტი გაუხდებოდა მაკას, ეკას მისთვის ორჯერ ნაკლები კანფეტი რომ მიეცა?

- 1) ოცი 2) თექვსმეტი 3) თორმეტი 4) ათი

19) რიცხვით პირამიდაში თითოეულ ცარიელ უჯრაში უნდა ეწეროს მის ქვედა ორ მეზობელ უჯრაში ჩაწერილი რიცხვების ჯამი. რა რიცხვი უნდა ეწეროს ყველაზე ზედა უჯრაში?



- 1) 139 2) 149 3) 159 4) 169

20) პირველ და მეორე ავტოფარეხში 15-15 ავტომანქანა დგას, მესამეში კი 5-ით ნაკლები, ვიდრე პირველ და მეორე ავტოფარეხში ერთად. რამდენი ავტომანქანა უნდა დაემატოს მესამე ავტოფარეხს, რომ იქ 5-ჯერ მეტი ავტომანქანა აღმოჩნდეს, ვიდრე პირველ ავტოფარეხშია?

- 1) 50 ავტომანქანა 2) 65 ავტომანქანა 3) 75 ავტომანქანა 4) 125 ავტომანქანა

21) 50 კილოგრამი ვაშლი გაანაწილეს რამდენიმე კალათაში. პირველში ჩაყარეს 14 კილოგრამი ვაშლი, ხოლო ყოველ მომდევნოში 2 კილოგრამით ნაკლები, ვიდრე წინა კალათაში. სულ რამდენი კალათა გამოიყენეს?

- 1) ოთხი 2) ხუთი 3) ექვსი 4) შვიდი

22) სტუდენტებმა დარგეს ატმის, ვაშლის და კომშის ხეები – სულ 680 ხე. აღმოჩნდა, რომ სტუდენტებს დაურგავთ 230 ატმის ხე, რაც 30-ით ნაკლებია მათ მიერ დარგული ვაშლის ხეების რაოდენობაზე. რამდენი კომშის ხე დაურგავთ სტუდენტებს?

- 1) 250 2) 190 3) 150 4) 90

23) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა რიცხვი. სანდრომ მასწავლებლის მიერ დაწერილ რიცხვს მიუმატა 3 და შედეგი გაამრავლა 2-ზე. ნიკამ მასწავლებლის მიერ დაწერილი რიცხვი გაამრავლა 5-ზე და იგივე პასუხი მიიღო, რაც სანდრომ. რა რიცხვი დაუწერია მასწავლებელს დაფაზე?


- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი

24) მართკუთხედის გრძელი გვერდის სიგრძე 12 სანტიმეტრია, მოკლე გვერდის სიგრძე კი ოთხ სანტიმეტრზე მეტია. რას უდრის ამ მართკუთხედის მოკლე გვერდის სიგრძე, თუ პერიმეტრი უნაშთოდ იყოფა ხუთზე?

- 1) 3 სმ 2) 5 სმ 3) 8 სმ 4) 10 სმ

25) მოტოციკლისტი დაიძრა სკოლიდან და 3 საათში მივიდა სურათზე მოცემულ აბრასთან. რამდენ ხანში მივა მოტოციკლისტი აუზთან, თუ იგი მთელი გზის მანძილზე თანაბარი სიჩქარით მოძრაობდა?

- 1) 1 საათში 2) 2 საათში 3) 3 საათში



ამოცანები რომლებიც 5 ქულით ფასდება

26) ნინო მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით), თვის კენტ დღეებში – 4 საათის განმავლობაში, ხოლო თვის ლუწ დღეებში – 7 საათის განმავლობაში. ნინომ მუშაობა დაიწყო მარტში და თვის ბოლოს აღმოჩნდა, რომ სულ უმუშავია 37 საათი. რომელ რიცხვში დაიწყო ნინომ მუშაობა?

- 1) 24 მარტს 2) 25 მარტს 3) 26 მარტს 4) ამის გაგება შეუძლებელია

27) 4 მაღაზია 1 დღეში 16 კალამს ყიდის. რამდენ კალამს გაყიდის 1 მაღაზია 5 დღეში? (იგულისხმება, რომ მაღაზია ყოველ დღე ერთნაირად ვაჭრობს.)

- 1) 20 კალამს 2) 17 კალამს 3) 21 კალამს

28) სკოლაში ეწყობა საფეხბურთო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობას იღებენ მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები. თითოეულ საფეხურზე არის სამი პარალელური კლასი. ტურნირში ყველა კლასი თითოჯერ ხვდება ერთმანეთს, მაგრამ პარალელური კლასები ერთმანეთს საერთოდ არ ხვდებიან. სულ რამდენი შეხვედრა შედგება?

- 1) 9 2) 18 3) 27 4) 36